ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2937087

ნომერი: AR1450667

თარიღი : 27.10.2016

გაცემის თარიღი : 09.11.2016

გაცნობის თარიღი : 09.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოშრევან ლიპარტელიანი პ/ნ 27001000769
- თბილისი გ.რჩეულიშვილის II ჩიხი N 2

ორგანიზაცია:
- შპს პრაიდი კოდი: 405035055

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2529789
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.04.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, კომერციული)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ცუცქირიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს პრაიდი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405035055

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს პრაიდი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405035055
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნოშრევან ლიპარტელიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 27001000769

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1616.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 810.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4657.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2966.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 221.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 403.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 483.6
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 582.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17426.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15590.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1836.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 36.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 33.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 517.1; კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4171.3; კ2=3.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 238.4; კ3=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

№AR1450667 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ვინაიდან 27/09/2016წ. №2851436 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შერეული ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი-საზოგადოებრივი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის შესახებ სამსახურის 03.04.2013 წლის №622805 ბრძანება, რაც თავის მხრივ არ გულისხმობს სამსახურის 30.12.2011წ. №01/4016 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასაც (შესაბამისად აღნიშნული ბრძანება ძალაში დარჩა), საჭიროა სამსახურის ელექტრონულ მისამართზე შესაბამისი განაცხადის საფუძველზე აირჩიოთ სწორი ნომენკლატურა და საკითხი დააყენოთ კორექტირებული პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე. ასეთ შემთხვევაში ნომენკლატურის შესაბამის სრულყოფილ დოკუმენტაციას თან უნდა დაურთოთ შეთანხმებული პროექტის ავტორის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა პროექტის სხვა ავტორების მიერ კორექტირებასთან დაკავშირებით.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ახალი მშენებლობით საკითხის განხილვა, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ 30.12.2011წ. №01/4016 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე და ამის შემდგომ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, ვინაიდან 04.08.2011წ. №1141 გაპი გაცემული იყო 5

(ხუთი) წლის ვადით და დღეის მდგომარეობით ვადაგასულია.

ასევე გაითვალისწინეთ:

1. დამატებით ფაილში ატვირთეთ ამონაწერში დაფიქსირებული იპოთეკარის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და ვალდებულების ველში დაფიქსირებული ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევასი (ხელშეკრულებიდან გამომდინარე) გამყიდველის თანხმობა.
2. დამატებით ფაილში ატვირთეთ ტერიტორიაზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეთა შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობები ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
3. ვინაიდან 08.04.2016 წელს №2529789 ბრძანებით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში (№1141; 04.08.2011წ) ცვლილებაა შეტანილი და საპროექტო ობიექტში დაფიქსირდა: მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, ოფისი, სავაჭრო) - პროექტიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა ფუნქციას, მათ შორის ოფისის მოწყობასაც. აღნიშნულის შესაბამისად დააკორექტირეთ პროექტი და შეასწორეთ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც.
4. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის ამონაწერში და საკადასტროზე შენობა-ნაგებობები არ ფიქსირდება, საჭიროა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკიდან ამოღებულ იქნას ეტაპის სახით გაწერილი "სადემონტაჟო სამუშაოები".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის ამ ეტაპზე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, სრულყოფილად განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობოთ მასში არსებული ხარვეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ასევე გაცნობებთ, აღნიშნულ განაცხადზე გადახდილი დაჩქარებული მომსახურების საფასურის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისი მოთხოვნით მომართოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და განცხადებას თან დაურთოთ ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც მოხდება თანხის დაბრუნება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.